PDF Eraser Free

დანართი №2

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „მებაღეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების თაობაზე ადმინისტრაციული საქმისწარმოების დისტანციურად განხორციელების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ხაჩიძე (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი)

წევრები:

თამარ ზარანდია (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი)

ციცინო თურქაძე (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2020 წლის 9 ივნისს წარმოდგენილ იქნა განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ დამატების შესახებ, რის საფუძველზეც ცენტრის დირექტორის მიერ 2020 წლის 19 ივნისს გამოიცა N493824 ბრძანება ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და უნივერსიტეტში ადმინისტრაციული წარმოების დისტანციურად განხორციელების შესახებ. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა „მებაღეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების განხორციელება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

გამომდინარე იქიდან, რომ მებაღეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტთან მიმართებით შეფასება ხორციელდებოდა დისტანციურად, დაწესებულებიდან დამატებით გამოთხოვილ იქნა მოდულის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები, „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი“ შესაბამისი დოკუმენტებით, პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის გარდა სხვა დოკუმენტები, რომლითაც შესაძლოა განსაზღვრული ყოფილიყო სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და ვერიფიკაციის მეთოდოლოგია.

გასაუბრებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეადგინა გასაუბრების განრიგი. დაწესებულების წარმომადგენლებთან შეხვედრა და გასაუბრება განხორციელდა კომინიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების Zoom-ის გამოყენებით. განრიგის შესაბამისად განხორციელდა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება; დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული არსებული პრაქტიკის შემოწმება, პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; განმახორციელებელ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებისა და მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმების შემოწმება/პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკის შემოწმება პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით. სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

მიზნით, ასევე ხორციელდებოდა ელექტრონულად დოკუმენტაციისა და ვიდეო მასალების დამატებითი წარმოდგენა დაწესებულების მიერ.

დისტანციურად უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების გადამოწმებით დგინდება, რომ უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება უნივერსიტეტის მიერ აკადემიური საგანმამათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

საუკეთესო გამოცდილების მაგალითი/ები არ დაფიქსირებულა.

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია: „სასურველია დოკუმენტში „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულებით დასაქმებული პერსონალის სამუშაო აღწერილობა“ გაწერილ ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციებს დაემატოს საგანმანათლებლო პროგრამებზე რეკომენდაციის/დასკვნის შემუშავების ფუნქცია, რათა ეს დოკუმენტი შესაბამისობაში მოვიდეს დოკუმენტთან „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“.
დაწესებულების განმარტებით ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულებით დასაქმებული პერსონალის სამუშაო აღწერილობაში“ არაა დაკონკრეტებული ცენტრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქცია საგანმანათლებლო პროგრამებზე რეკომენდაციის/დასკვნის შემუშავების შესახებ, თუმცა დოკუმენტში დეტალურადაა ჩაშლილი ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის სხვა ფუნქციები, რომლებიც საგანმანათლებო პროგრამის შემუშავების პროცესში აქტიურ ჩართულობასაც გულისხმობს. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2019 წლის 2-4 დეკემბერს ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამების შემუშავებაზე და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების შესაძლებლობების გაძლიერება/დანერგვის პროცესის მიმდინარეობის საკითხებზე“ ჩატარებული ტრენინგისა და შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინებით შევიდა ცვლილება ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულებით დასაქმებული პერსონალის სამუშაო აღწერილობაში“. აღნიშნულ დოკუმენტში ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციები გაიწერა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციის გათვალისწინებით.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია: „სასურველია დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესში სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერების ფორმულირება შეიცვალოს სავალდებულო სახის ფორმულირებით.“

დაწესებულების განმარტებით ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“ დამტკიცებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ (2019 წლის 6 თებერვალი, დადგენილება 06-01/07) და აღნიშნული დოკუმენტი ვერ იქნება სარეკომენდაციო ხასიათის. მიუხედავად ამისა, დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია, ცვლილება შეიტანა წესში და ჩამოაყალიბა შემდეგნაირად: ,,მოდული თუკი არის სხვა მოდულის დაშვების წინაპირობა, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება უნდა განხორციელდეს მინიმუმ ერთ კვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა“.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია: „სასურველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ სასწავლო გეგმაში წინაპირობიანი მოდულების დაწყებისა და დასრულების ინტერვალი გასწორდეს ისე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

რომ არ დაირღვევა სტუდენტის უფლებები და მას მიეცეს დრო ხელმეორედ დაადასტუროს სწავლის შედეგები, რათა დაცულ იქნეს მოდულზე დაშვების წინაპირობები;“

დაწესებულების განმარტებით, უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია და ვიზიტის დასრულებამდე გაასწორა აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი. კერძოდ, ცვლილება შევიდა პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაში ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და სასწავლო გეგმაში წინაპირობის მქონე მოდულების დაწყებისა და დასრულების ერთკვირიანი ინტერვალი იქნა სრულად გათვალისწინებული.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია: „სასურველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ საწარმოო პრაქტიკის ობიექტებს დაემატოს სავაჭრო ორგანიზაცია, ვინაიდან მხოლოდ შპს „გიგი“ ვერ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობის გატარებას.”

უნივერსიტეტის წარმომადგენელთა განმარტებით, გათვალისწინებულ იქნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები დამატებით გაფორმდა შემდეგ სავაჭრო ობიექტებთან: შპს ,,რემონტი+“ და შპს ,,ნიუ-ლაინ“.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია: „სასურველია ვებგვერდზე კატალოგის ისე განთავსება, რომ საიტის მნახველისთვის უფრო მარტივი იყოს მისი მიგნება და ამავე დროს კატალოგში ანონსის სახით იქნეს წარმოდგენილი ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომელთა დამატებაც სურს დაწესებულებას.“

დაწესებულების განმარტებით, მათ გაითვალისწინეს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია და ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომელთა დამატებაც სურს, ანონსის სახით განათავსეს ბსუ-ს ვებგვერდზე, ხოლო ვებგვერდის განახლების შემდეგ პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის გვერდი განთავსდება ბსუ-ს მთავარ გვერდზე, რაც დაინტერესებულ პირს გაუმარტივებს ინფორმაციასთან წვდომას.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია: „სასურველია განმახორციელებელი პერსონალისთვის ჩატარდეს გადამზადება/ტრენინგი მოდულური პროგრამების სწავლების მეთოდების, შეფასების მიმართულებების, ინსტრუმენტების შექმნის და შეფასების განხორციელების საკითხებზე“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

დაწესებულების განმარტებით, ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება. ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებლებს სისტემატიურად უტარდებათ ტრენინგები კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. კერძოდ, ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა „პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დირექტორთა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში დამტკიცებული პედაგოგიური პროგრამის კურსი განახორციელა. 5 სასწავლო მოდულისაგან შემდგარი პედაგოგიური პროგრამის სრული კურსის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს გადაეცათ პროფესიული განათლების მასწავლებლის სერტიფიკატები.

ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებლები კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ასევე მონაწილეობდნენ სხვადასხვა სახის შეხვედრებსა და ტრენინგებში. ასევე, 2020 წლის 20 იანვარს მაინცის უნივერსიტეტის პროფესორმა მარკუს ბონერმა ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ჩაატარა ტრენინგები.

2020 წელს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი „პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დირექტორთა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში გადაამზადებს ბსუ-ს პროფესიულ მასწავლებელთა ახალ ჯგუფს.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ვიზიტისას ხარვეზები არ გამოვლენილა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

განვითარების მიზნით გაცემული რეკომენდაციები:

პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი:

- მოდულები „ინფორმაციული წიგნიერება 1“, „ინტერპერსონალური კომუნიკაცია“ და „უცხოური ენა“ ზოგადი ინფორმაციის ნაწილში მოიცავს მოდულის დაშვების წინაპირობებზე ჩანაწერს, როდესაც ჩარჩო დოკუმენტით დამტკიცებული მოდულები მსგავს ჩანაწერს არ ითვალისწინებს.
- მოდულში „ქართული ენა B1” არის ტექნიკური ხარვეზები. მაგალითად, სასწავლო რესურსს სათაური არ აქვს, ნუმერაცია არეულია.

შესაბამისად, სასურველია მოდულებში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

სტანდარტთან შესაბამისობის მიზნით გაცემული რეკომენდაცია:

დაწესებულებას შესყიდული არ აქვს აღჭურვილობის ნაწილი. აღჭურვილობის შესყიდვას ახდენს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), რაც დასტურდება ელექტრონული მიმოწერით. შესაბამისად, დაწესებულებამ წარმოადგინა რექტორის 2020 წლის 3 ივლისის N01-02/72 ბრძანებით დამტკიცებული მებაღეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფის გეგმა. მასში გაწერილია, რომ გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსების ოდენობაა 10325 ლარი და ამ პროცესის დასრულების სავარაუდო თარიღია 2021 წლის 3 იანვარი. გეგმაში ასევე გაწერილია, რომ ქვეყანაში არსებული ვითარების გათვალისწინებით (COVID-19) რთულია UNDP-ის მიერ შესყიდვების პროცესის პროგნოზირება. შესაბამისად, არსებობს გარკვეული რისკი.

განვითარების მიზნით გაცემული რეკომენდაცია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, თავისივე რეგულაციაში იკვეთებოდეს პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევისას, რის საფუძველზე ახდენს მათთვის პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციის დადასტურებას.

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.
განვითარების მიზნით გაცემული რეკომენდაციები:

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით ირკვევა, რომ „პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურებით“. ხარისხის მართვის მენეჯერის თქმით, ზემოაღნიშნულ ჩანაწერში იგულისხმება, რომ პროგრამაში ცვლილება ხორციელდება პროგრამის შემუშავების პროცედურის შესაბამისად, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ შემუშავების პროცედურა მოიცავს დაგეგმვის ეტაპსაც, სასურველია ზუსტად იკვეთებოდეს, პროგრამაში ცვლილება რომელი პროცედურით ხორციელდება.

დაწესებულების მიერ შემუშავებულ ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი შესაბამისი უწყების ინფორმირებას განახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა შეუძლია როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, ცენტრში წინადადებების ინიცირებების გზით, სასურველია აღნიშნული იკვეთებოდეს დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციაში.

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.
განვითარების მიზნით გაცემული რეკომენდაციები:
დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესში საუბარია, რომ „მოდული, თუკი არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება უნდა განხორციელდეს მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

შეფასების ჩატარების პრობლემა“. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროგრამა არ მოიცავს წინაპირობიან მოდულებს, სასურველია დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციაში იკვეთებოდეს, თუ როდის, რა ვადაში ინიშნება განმეორებითი შეფასება და გათვალისწინებულ იქნას აპელაციის შემდგომ ის შემთხვევები, როდესაც სააპელაციო კომისიის მიერ დაინიშნება განმეორებითი შეფასებები. ზემოაღნიშნულის დროს, რეგულაციით ერთკვირიან ინტერვალში შეუძლებელია განმეორებითი შეფასების ჩატარება.

სასურველია, დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციით იკვეთებოდეს სტუდენტთან შეთანხმებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა.

უნივერსიტეტის თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებასთან (სსიპ ბათუმის ბოტანიკურ ბაღი) დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით, რომელიც გაფორმებულია მიმდინარე წლის 4 ივნისს და ძალაშია მის გაუქმებამდე. სსიპ ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორის მოადგილემ ინტერვიუირებისას აღნიშნა, რომ ჩანაწერში „ძალაშია მის გაუქმებამდე“ იგულისხმება, მემორანდუმის უვადოდ გაფორმება, თუმცა სასურველია მკაფიოდ იკვეთებოდეს, რომ პარტნიორ დაწესებულებასთან გაფორმებული მემორანდუმი ძალაშია უვადოდ, ან მინიმუმ პროგრამის განხორციელების ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	მებაღეობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში Secondary Vocational Qualification in Horticulture
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0812
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	„ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წის 25 ოქტომბრის N01-02/168 ბრძანება; „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 25 ოქტომბრის N01-02/168 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2020 წლის 5 ივნისის N01-02/54 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. ბათუმი, გრიშაშვილის ქუჩა N5

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40 მოდულური ქ. ბათუმი, გრიშაშვილის ქუჩა N5
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

VII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

PDF Eraser Free

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	**სრული 3**	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას შემუშავებული და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 06 თებერვლის N06-01/07 დადგენილებით დამტკიცებული აქვს ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Erasor Free

რომლითაც ეროვნება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინიცირება ხდება ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ და დასამტკიცებლად წარედგინება ბსუ-ს რექტორს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც მოიცავს ბაზრის კვლევას, შეხვედრებს პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან, რესურსების ანალიზს და კონსულტაციას უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინიცირება მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: დასაქმების ბაზრის კვლევას, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში კურსდამთავრებულთა (არსებობის შემთხვევაში) დასაქმების მაჩვენებელსა და მონაცემებს მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო და ადამიანური რესურსების შესახებ. ცენტრის დირექტორის მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ბსუ-ს რექტორის მიერ გამოიცემა სამართლებრივი აქტი პროგრამაზე სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედის პირი, რომელიც შემდეგში განიხილება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად. პროგრამაზე სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდნენ: ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი; ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ი; პროფესიული განათლების მასწავლებლები, ცენტრის პრაქტიკის კოორდინატორი, დამსაქმებლები/პოტენციური დამსაქმებლები; პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები, დარგის ექსპერტები და სხვა. სამუშაო ჯგუფი შეისწავლის ჩარჩო დოკუმენტს, ახდენს ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული მოდულების ადაპტირებას, განსაზღვრავს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო, ადამიანურ და მატერიალურ რესურსს, განსაზღვრავს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიდგომებს, მოიძიებს პრაქტიკის ობიექტებს და სასწავლო პროცესის მენეჯერთან კონსულტაციით ადგენს სასწავლო გეგმას. ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის დადებითი დასკვნის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საბოლოო რედაქცია წარედგინება რექტორს დასამტკიცებლად. დაწესებულებას მებაღეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა თავისივე რეგულაციის შესაბამისად აქვს შემუშავებული, რაც დასტურდება პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულ ადამიანებთან ინტერვიუირებით.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ განხორციელებასთან დაკავშირებით ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას. კერძოდ: საქსტატის მონაცემებით უმუშევრობა საქართველოს ერთ-ერთი გამოწვევაა, ხოლო ახალგაზრდებში უმუშევრობის მაჩვენებელი - მაღალი, მებაღეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარები კი იძლევა თვითდასაქმების საშუალებას და ხელს უწყობს პიროვნების ინტერესების რეალიზაციას. თვითდასაქმების ფარგლებში წარმოებული საქმიანობები საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა, წამყვან მიმართულებას სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. პროგრამის მიზნები კი გამომდინარეობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

უნივერსიტეტის მისიიდან და მიზნებიდან. კერძოდ: „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცნობიერებს თავის განსაკუთრებულ მნიშვნელობას რეგიონის განვითარებაში და პრიორიტეტად მიაჩნია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურის კვლევები, შავი ზღვის ბიოლოგიისა და ეკოლოგიის შესწავლა, ფიტოპათოლოგიური კვლევები, ასევე აგრარული მიმართულებისა და ტურიზმის განვითარება“. სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთი ამოცანაა პრიორიტეტული პროგრამების ხელშეწყობა. უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტურიზმის, ზღვის ბიოლოგიისა და აგრარული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნასა და რეგულარულ განახლებას. პროფესიული განათლების მიმართულებით უნივერსიტეტის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი ამოცანის აქტივობას წარმოადგენს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მუდმივი განახლებისა და განვითარების ხელშეწყობა“, რომლის აქტივობაა „ბაზრის კვლევის საფუძველზე, ახალი პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავება“. შესაბამისად, დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება.

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N01 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია ბსუ-ს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი და იმ პრინციპებს მოიცავს, რაც საფუძვლად ედება კონკრეტული პროგრამისათვის კონტინგენტის განსაზღვრას. აღნიშნული წესით ირკვევა, რომ გათვალისწინებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა, სასწავლო გარემო, აღჭურვილობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პრაქტიკის ობიექტები და პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა.

მოდულებით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამაში/მოდულებში სწავლის შედეგების მისაღწევად მითითებულია რელევანტური რესურსები.

საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის N1006 ბრძანებით დამტკიცებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში. ასევე, აკადემიური საბჭოს 2019 წლის 06 თებერვლის N06-01/07 ბრძანებით დამტკიცებული ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით ირკვევა, რომ პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საბოლოო რედაქცია დასამტკიცებლად წარედგინება ბსუ-ს რექტორს. მებაღეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია რექტორის 2019 წლის 25 ოქტომბრის N01-02/168 ბრძანებით, რომელშიც ცვლილება შესულია რექტორის მოადგილის 2020 წლის 5 ივნისის N01-02/54 ბრძანებით. რექტორის 2017 წლის 06 თებერვლის N01-08/7 ბრძანებით ირკვევა, რომ რექტორის მოადგილეს უფლება აქვს რექტორის არყოფნის შემთხვევაში (მივლინება, შრომითი ურთიერთობის შეჩერება ან სხვა, კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთვევა) შეასრულოს რექტორის მოვალეობა (სამართლებრივი აქტების გამოცემა, ვიზირება, კორესპოდენციის მიღება/გაგზავნა, შეხვედრების გამართვა, სამსახურებრივი დავალებების გაცემა და სხვა, გარდა ბსუ-ს დიპლომზე ხელმოწერის უფლებამოსილებისა). შესაბამისად, მებაღეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია და მასში ცვლილება შეტანილია უფლებამოსილი პირების მიერ.

პროგრამის დასახელება ასრულებს პროგრამის იდენტიფიკატორის ფუნქციას, შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

პროგრამის შემუშავების საფუძველი შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტია, რომელშიც განსაზღვრულია სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. პროგრამა მოიცავს ქართული ენის მოდულებსაც. პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი:

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის დამტკიცების რეკვიზიტებში გაპარული იყო ტექნიკური ხარვეზი. პროგრამა 2019 წლის 25 ოქტომბერს დამტკიცებულია რექტორის N01-02/168 ბრძანებით, წარმოდგენილია შესაბამისი დამტკიცების აქტი, ხოლო პროგრამაში დამტკიცების რეკვიზიტად მითითებული იყო 2020 წლის 25 ოქტომბრის N01-02/168 ბრძანება. დაწესებულებამ გაითვალისწინა გაცემული რეკომენდაცია და ცვლილება შეიტანა პროგრამაში რექტორის 2020 წლის 3 ივლისის N01-02/73 ბრძანებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით ირკვევა, რომ მოდულის ადაპტირებისას მასში მიეთითება მოდულის განხორციელების ადგილი უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული შესაბამისი აუდიტორია/პრაქტიკის განხორციელების ობიექტი. წარმოდგენილი პროგრამის ზოგადი მოდულები, განსხვავებით პროფესიული მოდულებისგან არ მოიცავდა მოდულის განხორციელების ადგილს. შესაბამისად, სასურველი იყო დაწესებულებას თავისივე რეგულაციის შესაბამისად უზრუნველყო მოდულებში განხორციელების ადგილის მითითება, ან ცვლილება შეეტანა თავისივე რეგულაციაში. დაწესებულებამ გაითვალისწინა გაცემული რეკომენდაცია და ცვლილება შეიტანა პროგრამაში რექტორის 2020 წლის 3 ივლისის N01-02/73 ბრძანებით.
- პროგრამაში იდო უცხოური ენის მოდულის მხოლოდ თავფურცელი. მოდული დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტების მოთხოვნის შემდეგ.
- მოდულები „ინფორმაციული წიგნიერება 1“, „ინტერპერსონალური კომუნიკაცია“ და „უცხოური ენა“ ზოგადი ინფორმაციის ნაწილში მოიცავს მოდულის დაშვების წინაპირობებზე ჩანაწერს, როდესაც ჩარჩო დოკუმენტით დამტკიცებული მოდულები მსგავს ჩანაწერს არ ითვალისწინებს.
- მოდულში „ქართული ენა B1” არის ტექნიკური ხარვეზები. მაგალითად, სასწავლო რესურსს სათაური არ აქვს, ნუმერაცია არეულია.

შესაბამისად, სასურველია გასწორდეს პროგრამაში არსებული ტექნიკური ხარვეზები.

მებაღეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- უნივერსიტეტის მისიით;
- სტრატეგიული განვითარების გეგმით;
- პროფესიული განათლების მიმართულებით საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების ერთწლიანი გეგმით;
- წესდებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- ბსუ-ს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესით;
- პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით;
- პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულის განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუირებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ფოტოსურათებით ირკვევა, რომ სასწავლო აუდიტორიაში 20 პროფესული სტუდენტისთვის განთავსებულია სამუშაო მაგიდა და სკამი. უნივერსიტეტმა ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტებთან ერთად, ვიდეო მასალით დაადასტურა გარკვეული აღჭურვილობის ფლობა. სამუშაო ინვენტარი არის თანამედროვე და მრავალფეროვანი. უნივერსიტეტს გააჩნია ნიადაგმცოდნეობის კათედრა და შესაბამისად ლაბორატორია, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს საუკეთესო შესაძლებლობად ნიადაგის იდენტიფიცირების მოდულის განხორციელებისთვის. თუმცა დაწესებულებას შესყიდული არ აქვს აღჭურვილობის ნაწილი. აღჭურვილობის შესყიდვას ახდენს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), რაც დასტურდება ელექტრონული მიმოწერით (დანართი 2). დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა რექტორის 2020 წლის 3 ივლისის N01-02/72 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ დამატების მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფის გეგმა. მასში გაწერილია, რომ გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსების ოდენობაა 10325 ლარი და ამ პროცესის დასრულების სავარაუდო თარიღია 2021 წლის 3 იანვარი. გეგმაში ასევე გაწერილია, რომ ქვეყანაში არსებული ვითარების გათვალისწინებით (COVID-19) რთულია UNDP-ის მიერ შესყიდვების პროცესის პროგნოზირება. შესაბამისად, არსებობს გარკვეული რისკი (დანართი 3). დაწესებულება სწავლის შედეგების მისაღწევად ასევე გამოიყენებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების იმ მიწის ნაკვეთებს, რომლებსაც ფლობს ხელვაჩაურის რაიონში, სოფელ მწვანე კონცხთან, რაც დასტურდება ელექტრონულად წარმოდგენილი საჯარო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Erase Free

რეესტრის ამონაწერებით სწავლის შედეგების მისაღწევად აღჭურვილობის ნაწილი ასევე არის პარტნიორი დაწესებულების მფლობელობაში, რაც დასტურდება გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმებით სსიპ - ბათუმის ბოტანიკურ ბაღთან. მემორანდუმს დანართებად ახლავს პროგრამა, სასწავლო გეგმა, მოდულები და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალი. სსიპ „ბათუმის ბოტანიკურ ბაღთან გაფორმებული მემორანდუმით ირკვევა, რომ პრაქტიკის ობიექტი უზრუნველყოფს პროგრამის 20 პროფესიული სტუდენტისთვის პრაქტიკული კომპონენტის გავლას. პროგრამის ხანგრძლივობაა 15 სასწავლო თვე და პროგრამის ფარგლებში 11 მოდულის პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე. მოდულები, რომლის სწავლის შედეგები განხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე იწყება პირველი სასწავლო კვირიდან და გრძელდება პროგრამის დასრულდებამდე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა შეფასებით, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ 20 პროფესიული სტუდენტით, რადგან მემორანდუმით პრაქტიკის ობიექტი უზრუნველყოფს მხოლოდ პროგრამის 20 სტუდენტის მიღებას. აღნიშნულის შესახებ ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის წარმომადგენლებსა და სსიპ ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორის მოადგილეს. ბოტანიკური ბაღის დირექტორის მოადგილემ აღნიშნა, რომ მათ რეალურად შეუძლიათ 20-ზე მეტი სტუდენტის მიღება, გადანაწილება და მზად არიან მემორანდუმში შევიდეს ცვლილება, რომ უნივერსიტეტმა უფრო მეტი სტუდენტის მიღება შეძლოს. დაწესებულებამ ცვლილება შეიტანა პროგრამაში რექტორის 2020 წლის 3 ივლისის N01-02/73 ბრძანებით და მოდულები, რომლებიც გატანილია პრაქტიკის ობიექტზე მათი სწავლება დაიწყება არა პირველი, არამედ მე-18 სასწავლო კვირიდან. შესაბამისად, დაწესებულების მიერ თუ იქნება უზრუნველყოფილი პირველ სასწავლო წელს 47 სასწავლო კვირის ჩატარება, ან თუ შევა შესაბამისი ცვლილება და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით უზრუნველყოფილი იქნება 40 პროფესიული სტუდენტისთვის პრაქტიკული კომპონენტის გავლა, ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმება დაწესებულების მიერ მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება 20 პროფესიული სტუდენტით.

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით ირკვევა, რომ პროგრამა ხორციელდება იმ პერსონალის მიერ, რომელიც თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგის გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს. რექტორის 2018 წლის 21 ნოემბრის N01-08/169 ბრძანებით დამტკიცებულია „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი“, რომლითაც ირკვევა, რომ მასწავლებელთა შერჩევა ხდება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და ცენტრის მიერ, ერთობლივად (შრომის ბაზრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

კვლევის შედეგად, კანდიდატების კვალიფიკაციის, შრომითი გამოცდილებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გათვალისწინებით). თუკი ამ წესით ვერ მოხერხდა შესაბამისი კვალიფიკაციის პირების შერჩევა, მასწავლებელთა შესარჩევად ცხადდება ღია კონკურსი. ამავე წესით ირკვევა, რომ შერჩეულ მასწავლებლებთან ფორმდება პირობითი შრომითი ხელშეკრულება. პირობითი შრომითი ხელშეკრულებები მოდულის ყველა განმახორციელებელ პირს არ ედო პირად საქმეში, რომელიც დაწესებულებამ დამატებით ელექტრონულად წარმოადგინა. პირადი საქმეების შეფასებით ირკვევა, რომ პროგრამას ჰყავს კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც გარდა პედაგოგიური გამოცდილებისა, გაჩნიათ პრაქტიკული გამოცდილება და მათი უმრავლესობა დღემდე მოქმედი სპეციალისტი და ზოგიერთი მათგანი პრაქტიკის ობიექტის თანამშრომელია.

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორმა ინტერვიუირებისას აღნიშნა, რომ მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაზეც მუდმივად ზრუნავენ. აღნიშნა, რომ შერჩეულ მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგი კალენდარული გეგმების, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასთან დაკავშირებით. ასევე, მასწავლებელთა ნაწილს გავლილი აქვს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დირექტორთა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში დამტკიცებული პედაგოგიური პროგრამის კურსი, რომელიც შედგება 5 სასწავლო მოდულისაგან და პედაგოგიური პროგრამის სრული კურსის დასრულების შემდეგ მათ გადაეცათ პროფესიული განათლების მასწავლებლის სერტიფიკატები. აღნიშნული ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება მასწავლებელთა სახლთან ერთად იგეგმება უახლოეს პერიოდში სხვა მასწავლებლებისთვისაც. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, თავისივე რეგულაციაში იკვეთებოდეს პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევისას, რის საფუძველზე ახდენს მათთვის პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციის დადასტურებას. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 25 პირი.

პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი. დარგობრივი კომპეტენცია დასტურდება კვალიფიკაციით, ხოლო ხელმძღვანელობა განსაზღვრულია პროგრამით. დაწესებულების მიერ შემუშავებული ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით ირკვევა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს პროგრამის შემუშავებაში, ხელმძღვანელობს პროფესიულ პროგრამაზე სასწავლო პროცესს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების, მოწვეული სპეციალისტების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. ბიბლიოთეკაში არის დარგის მიმართულების თანამედროვე და ადრეული გამოცემები, რომელთა დაყრდნობით შესაძლებელია მოდულების განხორციელება. აღნიშნული დასტურდება ბიბლიოთეკართან გასაუბრებით და ბიბლიოთეკისა და საგანმანათლებლო რესურსების ელექტრონულად (Zoom პლატფორმის მეშვეობით) დათვალიერებით.

დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ პირებისთვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მოდულის მოდიფიკაცია, ასევე აკომოდაცია. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში, მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად, წარედგინება ცენტრის დირექტორს, მოწმდება ცენტრის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით. დაწესებულებას ჰყავს 5 სსსმ პროფესიული სტუდენტი, თუმცა მათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება არ დასჭირდათ. მათი სასწავლო პროცესში სრულყოფილი ინტეგრირება ხორციელდება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებისა და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. ასევე, თუ საჭიროება იქნება, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას.

უნივერსიტეტის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „მებაღეობა“ აფინანსებს სახელმწიფო (ვაუჩერული დაფინანსება). ვაუჩერული დაფინანსება დაწესებულებას მიეცემა სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი ხარჯებისათვის, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ასანაზღაურებლად (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილება „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“). დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამის ბიუჯეტით და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ პროგრამის ფარგლებში რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 9 პროფესიულ სტუდენტს. შემოსავლის უდიდესი ნაწილი გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა ანაზღაურებისთვის და საოპერაციო ხარჯებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- თანამშრომლობის მემორანდუმებით;
- საჯარო რეესტრიდან ამონაწერებით;
- ელექტრონული ფოსტის მიმოწერით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით;
- ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესით;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეებით;
- პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- რესურსების უზრუნველყოფის გეგმით.

შეფასება:

☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

რექტორის 2019 წლის 29 ნოემბრის N01-02/198 ბრძანებით დამტკიცებულია ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან, დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტებისგან, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისგან. გათვალისწინებულია სასწავლო პროცესზე დაკვირვებაც. მიმდინარეობს მოგროვებული ინფორმაციის ანალიზი, მიღწეული შედეგების შედარება წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებთან და გადაწყვეტილების მიღება. ორის სახის გადაწყვეტილება შეიძლება იქნას მიღებული:

- მაკორექტირებელი ტიპის - რომელიც გულისხმობს დაუყოვნებლივი გადაწყვეტილების მიღებას ისეთი პრობლემის შემთხვევაში, რომლებიც ერთჯერადად იჩენენ თავს და არ აქვთ რეგულარული ხასიათი;
- ადაპტაციური ტიპის - რომელიც გულისხმობს დაწესებულებაში სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებას და გამოიყენება ისეთი პრობლემების მოგვარებისათვის, რომელთაც შესაძლოა ჰქონდეთ განმეორებადი ხასიათი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

ადაპტაციური ტიპის გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში დგება გაუმჯობესების გეგმა, რომლის აქტივობები, თავის მხრივ, ხდება შემდეგი წლის სამოქმედო გეგმის ნაწილი.

ხარისხის მართვის მენეჯერმა ინტერვიუირებისას აღნიშნა, რომ დაწესებულებას ამ ეტაპზე შემუშავებული აქვს კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში. კურსდამთავრებულები გამოხატავენ კმაყოფილებას პროგრამითა და უნივერსიტეტით და რომ შეეძლოთ კვლავ იგივე პროგრამასა და უნივერსიტეტს აირჩევდნენ. სხვა სამიზნე ჯგუფების გამოკითხვა ვერ განხორციელდა სასწავლო პროცესის შეწყვეტის გამო, რაც გამოწვეულია ქვეყანაში შექმნილი ეპიდსიტუაციით.

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით ირკვევა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნების (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ბსუ-ს ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განმახორციელებელი პროფესული განათლების მასწავლებელს. რეგულაციაშია გაწერილი, რომ „პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურებით“. ხარისხის მართვის მენეჯერის თქმით, ზემოაღნიშნული ჩანაწერი გულისხმობს, რომ პროგრამაში ცვლილება ხორციელდება პროგრამის შემუშავების პროცედურის შესაბამისად. გამომდინარე იქიდან, რომ შემუშავების პროცედურა მოიცავს დაგეგმვის ეტაპსაც, სასურველია ზუსტად იკვეთებოდეს, პროგრამაში ცვლილება რომელი პროცედურით ხორციელდება.

დაწესებულების მიერ შემუშავებულ ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესში ცვლილება და დამატება შევიდა აკადემიური საბჭოს 2020 წლის 29 მაისის N06-01/32 დადგენილებით, რომელშიც გაიწერა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი შესაბამისი უწყების ინფორმირებას განახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა შეუძლია როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, ცენტრში წინადადებების ინიცირებების გზით, სასურველია აღნიშნული იკვეთებოდეს დაწესებულების რეგულაციაში. ვერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში პროგრამების გაუმჯობესება შესაძლოა უკავშირდებოდეს თემატიკის გამრავალფეროვნებას, სასწავლო მეთოდების შეცვლას, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლას, პროფესიული განათლების მასწავლებლის შეცვლას და სხვა. დამსაქმებლიდან მიღებული ინფორმაციის გაანალიზება დაწესებულებას მისცემს საშუალებას დაადგინოს, თავად უნდა შეცვალოს პროგრამაში სწავლების მიდგომები, თუ უნდა მიმართოს ცენტრს ინიციატივით პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ (იმ შემთხვევაში თუ გაჩნდა ახალი უნარი ბაზარზე, რომელსაც მიმდინარე პროგრამა ვერ ფარავს). გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას არ აქვს უფლება შეიტანოს ცვლილება სწავლის შედეგებში, ასეთი ცვლილების განხორციელებისათვის ინფორმაცია უნდა მიეწოდოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის განხორციელებისას დაწესებულებამ აღმოაჩინა სწავლის შედეგებში, შეფასების კრიტერიუმებში, კომპეტენციის პარამეტრის ფარგლებში ან შეფასების მიმართულებებში გარკვეული ტიპის უზუსტობები, სასურველია, მან მიმართოს ცენტრს დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით. აქედან გამომდინარე, სასურველია აღნიშნული საკითხები იკვეთებოდეს დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციაში, ანუ საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში ახდენს დაწესებულება პროგრამების განვითარებაზე ზრუნვას, თუ ცენტრში ინიცირების გზით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით;
- ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით;
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამას დანართის სახით ახლავს სასწავლო გეგმა/გეგმები. მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროფესიული სტუდენტთა კვირეული დატვირთვა. პროგრამით განსაზღვრული არ არის მოდულებზე დაშვების წინაპირობები, თუმცა, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ სასურველი იქნებოდა სასწავლო გეგმა შემუშავებულიყო სეზონურობის გათვალისწინებით. მაგალითად, სასურველია მოდული „დეკორატიულ მცენარეთა მავნე ორგანიზმების იდენტიფიცირება“ ისწავლებოდეს გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში. აღნიშნული მოდულის განხორციელებისთვის საუკეთესო პერიოდად ამავე მოდულის განმახორციელებელმა იგივე პერიოდი დაასახელა. ასევე, სასურველია მოდული „მცენარეთა სხვლა-ფორმირება“ ისწავლებოდეს გაზაფხულზე. დაწესებულებამ ცვლილება შეიტანა რექტორის 2020 წლის 3 ივლისის N01-02/73 ბრძანებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

სასწავლო გეგმაში და იმის დაშვებით, თუ სასწავლო პროცესი დაიწყება შემოდგომაზე, ოქტომბრიდან, სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია სეზონურობა.

დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესში საუბარია, რომ „მოდული, თუკი არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება უნდა განხორციელდეს მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა“. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროგრამა არ მოიცავს წინაპირობიან მოდულებს, სასურველია დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციაში იკვეთებოდეს, თუ როდის, რა ვადაში ინიშნება განმეორებითი შეფასება და გათვალისწინებულ იქნას აპელაციის შემდგომ ის შემთხვევები, როდესაც სააპელაციო კომისიის მიერ დაინიშნება განმეორებითი შეფასებები. ზემოაღნიშნულის დროს, რეგულაციით ერთკვირიან ინტერვალში შეუძლებელია განმეორებითი შეფასების ჩატარება.

ბსუს-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის განრიგი განისაზღვრება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, სადაც მიეთითება თეორიული/პრაქტიკული მეცადინეობების, საწარმოო პრაქტიკის დაწყების/დასრულების და კვალიფიკაციის მინიჭების თარიღები. მეცადინეობები ტარდება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი მეცადინეობების სასწავლო ცხრილების შესაბამისად, რომელსაც ადგენს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი და ამტკიცებს ცენტრის დირექტორი. ცხრილი სწავლის დაწყებისთანავე თავსდება ცენტრის საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ვებგვერდზე. პროფესიულ სტუდენტთა მეცადინეობები ტარდება ყოველდღე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შაბათი, როგორც სასწავლო დღე. აღნიშნული ასევე დასტურდება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან ინტერვიუირებით.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გაწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის მექანიზმები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯის შემდგომი ნაბიჯები და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Erase Free
რექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამა ითვალისწინებს ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და დარგის შესაბამის ტექნოლოგიებს (მატერიალური რესურსის შესყიდვის შემდეგ), რაც ვალიდურს ხდის სასწავლო პროცესს თანამედროვე მოთხოვნებთან.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით რეგულირდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების არსებობას, აგრეთვე სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომას. ასევე, ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილებაა ყველა ის შემთხვევა (მობილობა, სტატუსშეჩერებული სტუდენტისთვის სტატუსის აღდგენა), როდესაც სტუდენტის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება. სასურველია, დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციით იკვეთებოდეს სტუდენტთან შეთანხმებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა.

უნივერსიტეტის თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებასთან (სსიპ ბათუმის ბოტანიკურ ბაღი) დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით, რომელიც გაფორმებულია მიმდინარე წლის 4 ივნისს და ძალაშია მის გაუქმებამდე. სსიპ ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორის მოადგილემ ინტერვიუირებისას აღნიშნა, რომ ჩანაწერში „ძალაშია მის გაუქმებამდე“ იგულისხმება, მემორანდუმის უვადოდ გაფორმება, თუმცა სასურველია მკაფიოდ იკვეთებოდეს, რომ პარტნიორ დაწესებულებასთან გაფორმებული მემორანდუმი ძალაშია უვადოდ, ან მინიმუმ პროგრამის განხორციელების ვადით. ბოტანიკური ბაღის დირექტორის მოადგილემ ინტერვიუირებისას აღნიშნა, რომ მზად არიან ცვლილება შეიტანონ მემორანდუმში და დააკონკრეტონ მემორანდუმის მოქმედების ვადა. არსებული მემორანდუმით განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები და მხარეთა ვალდებულები. ასევე, პროფესიულ სტუდენტთათვის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა. ინტერვიუირებისას პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება პროფესიის შესაბამისი სპეციფიკაციებით იქნება გათვალისწინებული. ასევე, დაწესებულების A გარემოშიც დაცულია უსაფრთხოების ნორმები. შესაბამისად, სასწავლო პროცესი განხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით;
- ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
- პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით;
- პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის წარმომადგენელთან ინტერვიუირებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

3. ასევ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის N01-02/11 ბრძანებით დამტკიცებულია ბსუს-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლითაც დარეგულირებულია შეფასების ინსტრუმენტის მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტის შიდა მონიტორინგის საკითხები, განმეორებითი შეფასების, აპელაციის და პროფესიული სტუდენტის ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნულ რეგულაციაში ცვლილება შესულია მიმდინარე წლის 19 თებერვალს რექტორის N01-02/22 და 9 ივნისს რექტორის მოადგილის N01-02/56 ბრძანებებით, რომელშიც დაზუსტდა სხვადასხვა საკითხები.

რეგულაციით ირკვევა, რომ შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

შეფასების ინსტრუმენტის პროექტი დგება მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ და შეფასების განხორციელებამდე 10 სამუშაო დღით ადრე წარედგინება პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს, რომელიც წარმოადგენს შიდა შემმოწმებელს და სწავლის შედეგების დადასტურებამდე ამოწმებს, თუ რამდენად ვალიდურია შეფასების ინსტრუმენტი მოდულით განსაზღვრულ შეფასების მიმართულებასთან. ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი ვალდებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ წარდგენილი შეფასების ინსტრუმენტის პროექტი შეაფასოს მისი მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. აღნიშნული ქმედებით მან უნდა დაადასტუროს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობა ან რეკომენდაციებით და წინადადებებით დაუბრუნოს პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია შეფასების განხორციელებამდე 3 სამუშაო დღით ადრე ხელახლა წარადგინოს შეფასების ინსტრუმენტები რეკომენდაციების გათვალისწინებით. ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში ასევე ჩართოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები და სხვა პროფესიული განათლების მასწავლებლები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელია ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი. ცენტრის დირექტორის წარდგინებით რექტორის ბრძანებით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან: ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებლები და დარგის სპეციალისტები. ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვისას ხდება შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულების რაოდენობის, არსებული რესურსის და სხვადასხვა რისკ-ფაქტორების გათვალისწინება. რისკების რეესტრს შეიმუშავებს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელთა საფუძველზეც ხდება იმ ინსტრუმენტების და მტკიცებულებების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობა შეიძლება იყოს. საბოლოოდ ვერიფიკაციის პროცესი სრულდება ვერიფიკაციის დასკვნის შედგენითა და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგით.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით ირკვევა, რომ შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს. შესრულების მტკიცებულებები მოდულის დასრულებამდე ინახება მასწავლებელთან, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადაეცემა ცენტრს. სტუდენტის მიერ დადასტურებულ სწავლის შედეგებს პროფესიული განათლების მასწავლებელი აფორმებს ბსუ-ს რექტორის მიერ დამტკიცებულ უწყისში, რომელიც ინახება ბსუ-ს დადგენილი წესის, საქმეთა ნომენკლატურის შესაბამისად 25 წლის ვადით. ასევე, ამავე რეგულაციაში რექტორის 2020 წლის 19 თებერვლის N01-02/22 ბრძანებით შესული ცვლილებებით ირკვევა, რომ პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები/ინფორმაცია/მტკიცებულებები ინახება სტუდენტისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო შემდეგ ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების აღრიცხვა ხორციელდება ელექტრონულად ან/და აღრიცხვის ჟურნალის მეშვეობით.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით ირკვევა, რომ მიმდინარეობს მონაცემთა შეგროვება, პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლის მიზნით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბსუს-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით;
- პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	20 პროფესიული სტუდენტი მოდულური ქ. ბათუმი, გრიშაშვილის ქუჩა N5
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-

დასაბუთება

სსიპ „ბათუმის ბოტანიკურ ბაღთან გაფორმებული მემორანდუმით ირკვევა, რომ პრაქტიკის ობიექტი უზრუნველყოფს პროგრამის 20 პროფესიული სტუდენტისთვის პრაქტიკული კომპონენტის გავლას. პროგრამის ხანგრძლივობაა 15 სასწავლო თვე და პროგრამის ფარგლებში 11 მოდულის პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე. მოდულები, რომლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

სწავლის შედეგები ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე იწყებოდა პირველი სასწავლო კვირიდან და გრძელდებოდა პროგრამის დასრულდებამდე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა შეფასებით, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეიძლება განსაზღვრულიყო მხოლოდ 20 პროფესიული სტუდენტით, რადგან მემორანდუმით პრაქტიკის ობიექტი უზრუნველყოფდა მხოლოდ პროგრამის 20 სტუდენტის მიღებას. აღნიშნულის შესახებ ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის წარმომადგენლებსა და სსიპ ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორის მოადგილეს. ბოტანიკური ბაღის დირექტორის მოადგილემ აღნიშნა, რომ მათ რეალურად შეუძლიათ 20-ზე მეტი სტუდენტის მიღება, გადანაწილება და მზად არიან მემორანდუმში შევიდეს ცვლილება, რომ უნივერსიტეტმა უფრო მეტი სტუდენტის მიღება შეძლოს.

დაწესებულებამ ცვლილება შეიტანა პროგრამაში რექტორის 2020 წლის 3 ივლისის N01-02/73 ბრძანებით და მოდულები, რომლებიც გატანილია პრაქტიკის ობიექტზე მათი სწავლება დაიწყება არა პირველი, არამედ მე-18 სასწავლო კვირიდან. შესაბამისად, დაწესებულების მიერ თუ იქნება უზრუნველყოფილი პირველ სასწავლო წელს 47 სასწავლო კვირის ჩატარება, ან თუ შევა შესაბამისი ცვლილება და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით განისაზღვრება 40 პროფესიული სტუდენტისთვის პრაქტიკული კომპონენტის გავლა, ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმება დაწესებულების მიერ მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზღვრული რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს 20 პროფესიული სტუდენტით.

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. გასაუბრების განრიგი;
დანართი 2. ელექტრონული ფოსტით მიმოწერა;
დანართი 3. რესურსების უზრუნველყოფის გეგმა.

16.07.2020
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---